

შ-04/282-16

15.06.16



## თბილისის საქალაქო სასამართლო

№3-0486/1393543

14.06.2016 წელი

ქალბატონ ანა ნაცვლიშვილს  
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის  
თავმჯდომარეს  
მისამართი: თბილისი, ჯანსუღ კახიძის ქ.№15

ქალბატონო ანა,

2016 წლის 13 ივნისის განცხადების (რეგ.№გ-04/275-16) პასუხად, გაცნობებთ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად 2015-2016 (ივნისის მდგომარეობით) წლებში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ გამოცემული იქნა 141 დამცავი ორდერი და დამტკიცებული იქნა 1480 შემაკავებელი ორდერი.

რაც შეეხება თქვენს მოთხოვნას, გაცნობთ, აღნიშნული დამცავი და შემაკავებელი ორდერები რა სახის ძალადობაზეა გამოცემული, რამდენ შემთხვევაშია მსხვერპლად წარმოდგენილი ქალი და რამდენ შემთხვევაშია - მამაკაცი, ასევე რამდენ შემთხვევაში იყო ჩართული არასრულწლოვანი, მოგახსენებთ, რომ აღნიშნული სახით ინფორმაციის სტატისტიკური აღრიცხვა და დამუშავება თბილისის საქალაქო სასამართლოში არ ხორციელდება, რის გამოც მოკლებული ვართ თქვენს თხოვნის ამ ნაწილში დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

ამასთან, გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება შეგიძლიათ, გაასაჩივროთ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზემდგომ თანამდებობის პირთან, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

პატივისცემით,

ავთანდილ წამალაშვილი

უფროსი კონსულტანტი

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი